

კონსულტანტ-გამყიდველი



მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

კონსულტანტ-გამყიდველის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

მიზანი:

ხარისხიანად შეასრულონ/განახორციელონ მათზე დაკისრებული კონკრეტული მოვალეობები და გამოიყენონ ცოდნა და უნარები შრომითი საქმიანობის ფარგლებში - გაუწიონ კონსულტაცია მომხმარებელს, იზრუნონ საქონლის რეალიზაციაზე; ხელი შეუწყონ გაყიდვების მოცულობის ზრდას; უზრუნველყონ მყიდველის კმაყოფილება, რათა მათ შემდგომ მათთვის სასურველი/საინტერესო საქონლის არჩევა და შეძენა.

სწავლის შედეგები:

1. სამუშაო გარემოს ორგანიზება;
2. მომხმარებლისთვის კონსულტაციის გაწევა;
3. გაყიდვის ოპერაციების შესრულება;
4. ნაშთების კონტროლი;
5. გაყიდვების ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
6. უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს და განახორციელოს პროფესიული საქმიანობა საკუთრების სხვადასხვა ფორმის საბითუმო და საცალო გაყიდვების სავაჭრო ობიექტზე/ბაზაზე (სუპერმარკეტი, მინიმარკეტი, საფირმო მაღაზია, სხვადასხვა სახის სავაჭრო ჯიხური, ბაზარი, ოფისი, სააფთიაქო ქსელი (არამედიკამენტური საქონლის შემხვევაში), განახორციელოს გაყიდვები ღია ცის ქვეშ, ხმარურიან და/ან სტრესულ გარემოში, ტემპერატურული რეჟიმის ცვალებადობის, გონებრივი და/ან ფიზიკური დატვირთვის პირობებში კლიენტთა და მათ ინტერესთა მრავალფეროვნების ფონზე; კონსულტანტ-გამყიდველს ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია გაყიდული საქონლის თანხის მიღება ტერმინალებისა და საღარო აპარატების გამოყენებით. კონსულტანტ-გამყიდველის პროფესიის მქონე პირს აქვს თვითდასაქმების შესაძლებლობაც. მას მუშაობა შეიძლება მოუწიოს არანორმირებული სამუშაო საათების პირობებშიც.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 61 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 11 სასწავლო თვე;

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. შპს. ელიტ ელექტრონიქსი
2. შპს ნიკორას ქსელი
3. შპს. გუდვილი